ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 6-108622/07

"22" 01 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.019.354) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №769042 02.07.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.019.354) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადები : ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. შეცვლილია ფანჯრების ვიზუალი, რაოდენობა, ნაწილობრივ შეცვლილია გაბარიტები და ადგილმდებარეობა. +11.70 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „A-C" და „C-A" ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდინციონერი. „1-6" ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები და ადგილმდებარეობა. +0.20 ნიშნულზე გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა და შემცირებულია სიგანე. სართულშუა გადახურვის ფილებში დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილებისთვის განკუთვნილი ხვრელები.

-3.30 ნიშნული : „2-3" მონაკვეთში „A-A" ღერძთან შეცვლილია კარის გაბარიტები, ადგილმდებარეობა და ვიზუალი, აღნიშნულ ღერძთან „5-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო მილი. „B-C" მონაკვეთში „2-2" ღერძთან დამატებით მოწყობილია კოლონა.

+0.20 ნიშნული : „1-2" მონაკვთში „C-C" ღერძთან შეცვლილია კარის ვიზუალი. „2-3" და „B-C" მონაკვეთში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა.

+3.40 ნიშნული : „2-3" მონაკვეთში „C-C" ღერძთან გაუქმებულია კიბე და დამატებით მოწყობილია „5-6" მონაკვეთში.

+7.60 ნიშნული : გაზრდილია სართულის სიმაღლე.

+11.15 ნიშნული : „1-2" და „A-B" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლიფტის კაპიტალური სათავსი, ასევე დამატებულია ლითონის კარადა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ინტერდეკო"-ს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.019.354) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №108622/07 11.12.2015წ. განცხადება.
№წ-108622/07 18.12.2015წ. ბრძანება.



სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე